საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

13--დეკემბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

შესყიდვის საგანი: ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალაში, არსებული **6 726 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N01.18.13.039.027) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N1033, 21.11.2013)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:
- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:
-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
-კობა სელიმაშვილი — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:
- გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ამირან გოგიძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:
1. ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალაში, არსებული **6 726 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N01.18.13.039.027) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის“ **(N1033, 21.11.2013)** შედეგების განხილვა.
2. კონკურსში **(N1033, 21.11.2013)** მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა ამირან გოგიძემ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში **(N1033, 21.11.2013)** თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 2 (ორი) კონკურსანტი:

1. **შპს "არკო 04";**
2. **შპს „არტლაინსი";**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N2) კონკურსში მონაწილე **შპს "არკო 04"-ის** საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნა კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტის დარღვევით წარმოდგენის გამო. ხოლო მეორე კონკურსანტის **(შპს „არტლაინსი")** საკონკურსო წინდადება განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, **შპს „არტლაინსი"-ს** მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა გია ნაჭყებიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენს მიერ განხილულ იქნა ქ.თბილისში, კრწანისის დასახლებაში (ფონიჭალა)

6726 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N01.18.13.039.027.) საცხოვრებელი კორპუსებით განაშენიანების საპროექტო-სახარჯთაღრიცვხო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები. განსახილველად გადმოგვეცა ერთი საკონკურსო წინადადება, წარმოდგენილი შპს. „არტლაინსი"-ს მიერ. საკონკურსო წინდადებაში, საკონკურსო დავალების შესაბამისად, მოცემულია განაშენიანების 2 ვარიანტი, როგორც არსებული ტერიტორიის, ასევე პერსპექტივაში მიწის ნაკვეთის ერთ ჰექტარამდე გაზრდის შემთხვევაში. ძირითადი ვარიანტი ითვალისწინებს ორი 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ბინების საერთო რაოდენობით - 256 ბინა.

საცხოვრებელი სახლების სართულების გეგმები ბინების ფართითა და მათი პროპორციული განაწილებით ძირითადად შესაბამისობაშია ჩვენს პრიორიტეტულ მოთხოვნილებებთან

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ გადაწყვიტა:

1. **შპს „არტლაინსი"-ს** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N1033, 21.11.2013)** გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „არტლაინსი"-ს** საკონკურსო წინადადება.
3. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:

3.1. კონკურსანტებისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

3.2. გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

მერაბ მენაბდე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

კობა სელიმაშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები: გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია